

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის სხდომის  
ოქმი N 6

ქ. თელავი

2020 წლის 24 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ლევან ლილუაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი მაია დათუნაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი რუსუდან მამუკაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახურის უფროსი ნინო

აფციაური, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი ზაქარია რაზმაძე, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაყვალა წიკლაური, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

### დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ლევან კოჭლოშვილმა მიმართა ზაქარია რაზმაძეს, რომ კარგი იქნება თუ სოფელ ართანაშიც ჩატარდება ყარალაშვილების სახელობის მუდმივმოქმედი ქართლ-კახური სიმღერების ფესტივალი. რაზეც ზაქარია რაზმაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში ღონისძიების მოწყობა სოფ ართანაშიც სრულიად შესაძლებელია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა გიორგი ენუქიძეს წარმოედგინა 2021 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამები

გიორგი ენუქიძემ აღნიშნა, რომ 2021 წელს თანხები მცირდება შუშის, დიალეზის, ქირის, ჯანდაცვის პროგრამებზე. რომ მიმდინარე წელთან შედარებით მომავალი წლის ბიუჯეტი სულ შემცირებულია სამასი ათასი ლარით.

ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესია გაიზარდოს საპრივატიზაციო ნუსხა, აგრეთვე შემცირდეს წარმომადგენლობითი ხარჯები, ვიდრე აღნიშნულ პროგრამებზე შემცირებული იყოს დაფინანსება.



ირაკლი სულხანიშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია პროგრამებზე ის თანხა მაინც დარჩეს რაც მიმდინარე წელს იყო განსაზღვრული.

იოსებ პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ მერის წარმომადგენლებს შეუმცირდეთ სპეციალისტების რიცხოვნობა ხოლო აღნიშნული თაბით გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსება.

ლევან კოჭლოშვილმა მიზანშეწონილად მიიჩნია თანხის გაზრდა 2021 წლის სოციალური პროგრამების მიმართულებით.

მაია დათუნაშვილმა გააკეთა განმარტება 2021 წელს განსახორციელებელ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდობის პროგრამებზე. როგორც მან აღნიშნა 2021 წელს ბიუჯეტის მოცულობა იგივეა რაც მიმდინარე წელს.

აგრეთვე 2021 წელს განსახორციელებელი პროგრამიდან აღარ იგეგმება პროექტი „ეტალონი“-ს დაფინანსება

იოსებ პარწიკანაშვილმა მიმართა მაია დათუნაშვილს გაეკეთებინა განმარტება გონიო აფსაროსის პროექტთან მიმართებაში.

მაია დათუნაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია პროგრამაში როგორც მასწავლებლის ისე მოსწავლის ჩართვა, ვინაიდან პროექტს აქვს თავისი მიზნობრიობა საგანმანათლებლო კუთხით.

აგრეთვე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას საწყისი თანხა 30000 (ოცდაათი ათასი ) ლარი თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენების წასახალისებლად.

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს, რომ მის მიერ 2021 წლის განსახორციელებელი პროგრამის ნაწილში არ არის განმარტება თუ რამდენი უნდა დაიხარჯოს თანამშრომლის ხელფასებზე, წიგნის ფონდზე და ა.შ.

იოსებ პარწიკანაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ პროგრამა უნდა იყოს შედეგებზე ორიენტირებული და არა ზოგადი, აგრეთვე უნდა იყოს შეფასების ინდიკატორი. თუ ველოდებით მაგალითად წიგნის ფონდის გაზრდის შემთხვევაში მოქალაქეთა გაზრდას.

კომისიაზე დამსწრე ყველა წევრმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ შემდგომ სხდომაზე წარმოადგინოს საბიბლიოთეკო გაერთიანებამ 2021 წლის სრულად გაწერილი პროგრამა.

ლევან კოჭლოშვილმა მიმართა ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახურის უფროსს რომ მიზანშეწონილად

მიაჩნია სოფლად მცხოვრები მოქალაქეთათვის გახდეს ხელმისაწვდომი საკვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, თუნდაც ეს იყოს კვირაში ერთი დღე

ნინო აფციაურმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტი არის მოსაწესრიგებელი, მას აგრეთვე არ გააჩნია სამაცივრე სისტემა და ვერ აკმაყოფილებს ტექნიკურ პარამეტრებს, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში კი აგრეთვე გაიზრდება ბენეფიციართა რაოდენობაც.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია რომ შემდგომ სხდომაზე ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახურის უფროსმა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა, რომ შემდგომ მიეცეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას რეკომენდაცია სოფლად მცხოვრები ბენეფიციართათვის საკვების ადგილზე მიტანის სერვისით უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტეს: საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით მოხდეს უახლოეს სხდომაზე ზემოთ აღნიშნული პროგრამების განხილვა.

კომისიის თავმჯდომარე:



ლევან კოჭლოშვილი.